სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

89175765424119

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190403705

რეგისტრაციის თარიღი

13.04.2019 წ

ნოტარიუსი: ელისო შიხიაშვილი
მისამართი: ლესელიძის ქ.#17
ტელეფონი: 599446826

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ცამეტ აპრილს, ელისო შიხიაშვილს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის №17
მომმართა **ჯემ აიდემირმა,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს "მექან"-ის დირექტორი და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს შპს "მექან"-ის სახელით მინდობილობის შედგენა **ნათია ახალკაცის** მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის შედგენა. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **ჯემ აიდემირმა** (დაბ.01.08.1987წ. მისი განცხადებით რეგ. ქ. რუსთავი, VIII მ/რ, №7, ბ№27, პირადი №01097000675) მომმართა. მე შევამოწმე **ჯემ აიდემირის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "მექან" (ს/კ 416305830), თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18075766, 17/07/2018 10:39:34. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე "მიმნდობ" პირს. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ცხრამეტი წლის ცამეტ აპრილს, ჯემ აიდემირმა, როგორც შპს "მექან"-ის დირექტორმა, რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც «მიმნდობი» პირი, **ნათია ახალკაცს** (დაბ.03.06.1992წ. პირადი №01001069604), რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც «მინდობილი» პირი, **მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:**

შპს "მექან"-ის (ს/კ 416305830) სახელით იყოს წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, წარადგინოს განშლის დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს შიდა კრების ოქმებზე, მიწის თაობაზე (ცვლილებებზე) ნებისმიერ დოკუმენტაციას, შეიძინოს და/ან გაასხვისოს შპს "მექან"-ის კუთვნილი უძრავ-მოძრავი (მათ შორის ავტომანქანა და ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება) ქონება, ხელი მოაწეროს ნასყიდობის ხელშეკრულებებს, წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, ამასთან შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, კერძო, სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, ინსპექციასა და დეპარტამენტ-სააგენტოებში), მათ შორის სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, შემოსავლების სამსახურში, ბანკებში, საბაჟო ორგანოებში, მერიის სხვადასხვა სამსახურებში, საჯარო რეესტრში, წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, მიიღოს გადაწყვეტილებები და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, კონტრაქტებს, ხელშეკრულებებს, გარიგებებს, შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს დაწესებულება-ორგანიზაციებიდან ცნობები, მოწმობები, დოკუმენტები, ამონაწერები და სხვა დოკუმენტები, მიიღოს მონაწილეობა აუქციონებში და გამო-ფენებში, აგრეთვე მართოს და განკარგოს საზოგადოების კუთვნილი საბანკო ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში არსებული საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მათ შორის სს "ზირაათ ბანკში", სს „საქართველოს ბანკში", სს „ლიბერთი ბანკში", სს „თიბისი ბანკში", სს „პროკრედიტ ბანკში", სს „ბაზისბანკში", სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში", სს „ტერა ბანკში" და სხვა, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო, საფინანსო, საგადასახადო, საბაჟო, სალიცენზიო ოპერაციები, მათ შორის ანგარიშების გახსნა-დახურვა, თანხის შეტანა-გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშებზე არსებული ბალანსის შესახებ, მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, მიიღოს, ხელი მოაწეროს საგარანტიო წერილებს, ისარგებლოს ინტერნეტბანკით, აიღოს საგადასახადო ორგანოებიდან ანგარიშ-ფაქტურები, დაამზადებინოს ახალი პლასტიკური ბარათები კომპანიის სახელზე მათი გატანის უფლებით, მინდობილ პირს ეძლევა უფლებამოსილება ანგარიშებზე არსებული თანხები გადაიტანოს მის მიერ გახსნილ ნებისმიერ ანგარიშზე იგივე ან ნებისმიერ სხვა ბანკში, დადოს და გააუქმოს გარიგებები და ხელშეკრულებები, მოახდინოს ელ. დეკლარირება, კომპანიის სახელზე მიიღოს ნებისმიერი გზით გამოგზავნილი ტვირთი და ამასთან დაკავშირებით აწარმოოს კანონით დადგენილი ნებისმიერი საბაჟო, საბროკერო, საკონტეინერო, სატერმინალო ოპერაცია, ფორმალობა და გაფორმება, (საბაჟო დეკლარაციის აღება, საბაჟო გადასახადების გადახდა და სხვა საბაჟო პროცედურების შესრულება), გახსნას კონტეინერი და უზრუნველყოს ტვირთის ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე), აწარმოოს ფინანსური ანგარიშსწორება დღგ-ს ანგარიშფაქტურის ჩათვლით, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, აწარმოოს ანგარიშსწორებები საგადასახადოში, ბანკში, საბაჟოზე, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს, გამოიყენოს კომპანიის ბეჭდი,

ე იყოს შპს-ს წარმომადგენელი შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში და შეასრულოს ყველა მოქმედება ფორმალობა ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

ეს მინდობილობა შესრულებულია ქართულ ენაზე რვა თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18075766, 17/07/2018 10:39:34

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ) 31-ე მუხლისა 10-00 ლარი, აგრეთვე დ.ღ.გ. 1-80 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია 13-80 ლარი

შპს "მექან"-ის დირექტორი
ჯემ აიდემირ

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი